საიდ. N 78417/03

IR 1211842

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №136-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ს. ებრალიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „აერზენერ მაშინენფაბრიკ გმბჰ" (AERZENER MASCHINENFABRIK GMBH) (მის: რეჰერვეგ 28, 31855 აერზენი, გერმანი; Reherweg 28, 31855 AERZEN, Germany) N136-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 9 ივლისის N2153/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისათვის „AERZEN“ (საიდ. N78417/03, IR 1211842) დაცვის მინიჭება საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-7 და 37-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 9 ივლისის N2153/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სერეგისტრაციოდ წარმოდგენილი საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „AERZEN“ მსგავსია კომპანიის „დოსპელ სპოსკა ზ.ო.ო“ („DOSPEL“ Spóška z o.o.) (მის: ულ. გსოუნა 188, პლ-42-280 Cz“სტოჩოვა; ul. Gšówna 188, PL-42-280 Cz“stochowa) სახელზე მე-7 კლასის მსგავსი საქონლის ჩამონათვლისათვის ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული გამოსახულებითი სასაქონლო ნიშნისა „M“ (IR 863447, საერთ. რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი: 2005-05-20). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი კომბინირებულია და შეიცავს გამოსახულებას, რომელიც აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული ნიშნის გამოსახულებისა. გამოსახულებების მსგავსება იმდენად დიდია, რომ განცხადებულ და რეგისტრირებულ ნიშნებში დამატებით სიტყვიერი ელემენტების („M“ და „AERZEN“) არსებობა ვერ უზრუნველყოფს ნიშნებს შორის განმასხვავებლობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა „AERZEN“ წარმოადგენს მუნიციპალიტეტს გერმანიაში და დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას არ ექვემდებარება. ორივე ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი წარმოადგენს ასო „A“-ს ფორმის ფიგურას, რომელსაც ქვედა ნაწილი ასო „M“-ის მსგავსი აქვს. მსგავსებას აძლიერებს ისიც, რომ ორივე შემთხვევაში ფიგურა მოთავსებულია წრეში. სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშნის დაცვა გარდა მე-7 კლასისა მოითხოვება 37-ე კლასის

მიმართ, სადაც მითითებული მომსახურების ჩამონათვალი მჭიდროდ არის დაკავშირებული მე-7 კლასის საქონელთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „აერზენერ მაშინენფაბრიკ გმბჰ" (AERZENER MASCHINENFABRIK GMBH) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია, იგი შედგება გამოსახულებითი ელემენტისა და სტილიზებული ასოებისაგან. რაც შეეხება დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს, ის გამოსახულებითია. ამის საფუძველს იძლევა მისი აღწერა ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ვენის კლასიფიკაცია) კოდებით, რომელთაგან არც ერთი არ მიანიშნებს, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი შეიცავს ასოებისაგან შემდგარ ელემენტს. განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის სტილიზირებულ ნაწილს წარმოადგენს სტილიზებული ლათინური ასოების „A“ და „M“ ერთობლიობა, რომელიც შესრულებულია თეთრ ფერში და მოთავსებულია შავი ფერის წრეში. ეს ორი სტილიზებული ასო ერთმანეთისაგან გამოყოფილია შავი ხაზით და კოდირებულია ვენის კლასიფიკაციის შესაბამისი კოდებით: 27.05.10 - განსხვავებული ზომის ასოების მიმდევრობა; 27.05.24 - ღია ფერის ასოები მუქ ფონზე. რაც შეეხება განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის გამოსახულებით ნაწილს, იგი შედგება რამდენიმე ელემენტისაგან, რომლებიც ნიშნების გამოსახულებითი ელემენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ვენის კლასიფიკაცია) შესაბამისად, კოდირებულია,

როგორც 26.01.04 - ერთმანეთში ჩახაზული ორი წრე (წრეწირში მოთავსებული შავი ფერის წრე); 26.01.18 - წრეები ან ელიფსები, რომლებიც შეიცავენ ერთ ან მეტ ასოს; 27.05.10 - განსხვავებული ზომის ასოების მიმდევრობა; 27.05.24 - ღია ფერის ასოები მუქ ფონზე (წრეში მოთავსებული თეთრი ფერის სტილიზებული ლათინური ასოები „A“ და „M“). აპელანტის პოზიციით, ზემოთ მოყვანილი აღწერილობა აშკარად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის გამოსახულებითი ნაწილის ძირითადი ელემენტი არის ლათინური სტილიზებული შრიფტით თეთრ ფერში შესრულებული ლათინური ასო-ბგერების „A“ და „M“ ერთობლიობა. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს, აპელანტი განმარტავს, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი შედგება რამდენიმე გამოსახულებითი ელემენტისაგან: ლურჯი ფერის წრე (ვენის კლასიფიკაციის კოდი 26.01.01 - წრეები); ლურჯი ფერის წრეწირის შიგნით მოთავსებულია, ასევე ლურჯი ფერის გეომეტრიული ფიგურა, რომელიც სამკუთხედის ფორმის გამოსახულებისა და მასში ჩასმული რომბის ერთობლიობას წარმოადგენს (ვენის კლასიფიკაციის კოდები: 26.01.16 - წრეები ან ელიფსები, რომლებიც შეიცავენ სხვა გამოსახულებით ელემენტებს; 26.13.25 - სხვა გეომეტრიული ფიგურები, ამოუცნობი ფიგურები; 29.01.04 - ლურჯი ფერი). ამ შედარებიდან და ვენის კლასიფიკაციის მიხედვით, მინიჭებული კოდებიდან ნათლად ჩანს, რომ დაპირისპირებული სერთაშორისო სასაქონლო ნიშნის არცერთი ელემენტი არ არის აღქმული როგორც ასო, კერძოდ, ლათინური ანბანის ასოები „A“ და/ან „M“. აპელანტი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, აგრეთვე შეიცავს სიტყვიერ ნაწილს „AERZEN“, რომელიც არის გერმანიის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტი და აღნიშნავს აპელანტი კომპანიის ადგილმდებარეობას. მიუხედავად იმისა, რომ „AERZEN“ არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას, ის, როგორც სასაქონლო ნიშანში შემავალი დაუცველი ნაწილი, ზრდის მის განმასხვავებლობის დონეს

ვიზუალური თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე, არ მოხდება მისი აღრევა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით მონიშნულ მე-7 კლასის საქონლის მწარმოებელთან, მით უფრო, 37-ე კლასის მომსახურების მიმართ. აპელანტის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ როგორც განცხადებული, ასევე დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი ერთი და იგივე მე-7 კლასს მიეკუთვნება, მათი გამოყენების სფერო სხვადასხვაა. კერძოდ, მე-7 კლასის საქონელი, რომლისთვისაც დაცულია დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი, განკუთვნილია საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სამზარეულოში) ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებში გამოყენებისათვის. სწორედ ასეთი დანიშნულების მქონე ტუმბოებსა და კომპრესორებზეა საუბარი დაპირისპირებული საერთაშორისო სააქონლო ნიშნის მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალში. აღნიშნული საქონელი საქართველოში იყიდება ერთის მხრივ საყოფაცხოვრებო ელექტრონიკითა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით მოვაჭრე პუნქტებში და მეორეს მხრივ სათადარიგო ავტონაწილებით მოვაჭრე მაღაზიებსა და პუნქტებში. აპელანტი კომპანიის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალში მითითებული საქონელი კი განკუთვნილია სამრეწველო დანიშნულების დანადგარებისათვის, რომლებიც გამოიყენება სავენტილაციო და გაზგამანაწილებელ სადგურებში, სატრანსპორტო მილსადენებში. ასეთი საქონელი არ იყიდება საყოფაცხოვრებო ტექნიკით ან ავტონაწილებით მოვაჭრე მაღაზიებში. ცხადია, რომ დაპირისპირებული საერთაშორისო ნიშნით დაცული მე-7 კლასის საქონლის მომხმარებელი აშკარად განსხვავებული სექტორია, რაც გულისხმობს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნების მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალი არაერთგვაროვანია. გარდა აღნიშნულისა, სამრეწველო დანიშნულების დანადგარების ტუმბოების, კომპრესორების და სხვა ნაწილების შეძენისას, მყიდველი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და შესაბამისად, შეძენისას გამორიცხულია აჩქარება მათი

მხრიდან, განსაკუთრებით მათი მაღალი ღირებულების გამო, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ არ მოხდება მომხმარებლის მხრიდან ამ საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. აპელანტი ასევე, არ ეთანხმება 37-ე კლასის განცხადებული მომსახურების მიმართ ნიშნის დაცვაზე უარის თქმის შესახებ ექსპერტიზის გადაწყვეტილებას, რადგან 37-ე კლასის მომსახურება განეკუთვნება საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის განკუთვნილი ტუმბოებისა და კომპრესორების დაყენებას, გაწყობასა და რემონტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს, „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 9 ივლისის N2153/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნისთვის „AERZEN“ (საიდ. N78417/03, IR 1211842) დაცვის მინიჭებას საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №136-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი AERZEN „AERZEN“ (საიდ. N78417/03, IR 1211842) და დაპირისპირებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „M“ (IR 863447, საერთ. რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 2005-05-20) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშანს. ნიშნები მსგავსია, ვიზუალურად. განცხადებული ნიშანი წარმოადგენს კომბინირებულ სასაქონლო ნიშანს, რომელიც სიტყვიერ ნაწილთან ერთად „AERZEN“, შეიცავს წრეწირში მოთავსებული შავ წრეს, სადაც თეთრად შესრულებულია სტილიზებული ასო - „A“-ს გამოსახულება. რაც შეეხება დაპირისპირებულ ნიშანს, იგი განცხადებული ნიშნის მსგავსად, შეიცავს ლურჯ წრეში თეთრ ფონზე შესრულებულ, სტილიზებული ასო - „A“-ს ლურჯ გამოსახულებას. დაპირისპირებული ნიშნების გამოსახულებითი ელემენტი, ქმნის ლათინური ასო „M“-ის მსგავს გამოსახულებას. ორივე სასაქონლო ნიშნის, დომინანტი ელემენტია მათი გამოსახულებითი ნაწილი, რომელიც ნიშნებში აღრევამდე მსგავსია. მსგავსია, ასევე ის საერთო შთაბეჭდილება, რასაც დაპირისპირებული ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე. ამასთან, განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი - „AERZEN“ არის მუნიციპალიტეტი გერმანიაში და იგი სასაქონლო ნიშანში წარმოადგენს დაუცველ ელემენტს.

მსგავსია, ასევე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ განცხადებული ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-7 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ჰაერისა და გაზის გადამყვანი და შესაკუმში აპარატები; შესამჭიდროებელი მანქანები; შემასქელებლები; ტუმბოები; კომპრესორები; გამაგრილებელი კომპრესორები გასაციებელი დანადგარებისათვის; ტურბოკომპრესორები; მბრუნავი დგუში კომპრესორები; გაზის მაცივრები; მბრუნავი

ვენტილატორები წნევისა და ვაკუუმისათვის; მბრუნავი დგუში ტუმბოები; შემასქელებლები და კომპრესორები გრძელ დისტანციაზე გაზის ტრანსპორტირების გაზსადენებისათვის“ (Apparatus for air and gas conveyance and compression, blowing machines, densifiers, pumps, compressors, refrigerant compressors for cooling installations, turbocompressors, rotary piston compressors, gas coolers, rotary blowers for pressure and vacuum, rotary piston pumps; densifiers and compressors for long-distance gas transport pipelines), ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამზარეულოს ელექტრული მანქანები; ჰაერგამწოვი მოწყობილობები; ძალური გადაცემები სახმელეთო ტრანსპორტში გამოსაყენებლის გარდა; ჰაერსაბერი მანქანები; აირის შესაკუმში, შემწოვი და გადამტანი ჰაერსაბერი მანქანები; ფილტრები (მანქანის ან ძრავის ნაწილები); კატრიჯები საფილტრი მანქანებისათვის; სამსხმელო ფორმები მანქანებისათვის; რეგულატორები (მანქანათა ნაწილები); სიჩქარის რეგულატორები მანქანის, ძრავისა და მოტორისათვის სახმელეთო ტრანსპორტში გამოსაყენებლის გარდა; ელექტრო ძრავები სახმელეთო ტრანსპორტში გამოსაყენებლის გარდა; კომპრესორები; ძრავისა და მოტორის ვენტილატორები; პლასტიკური ინექციის მანქანები; თბოგადამცემები (მანქანათა ნაწილები)“ (Electric kitchen machines, air suction machines, propulsion mechanisms other than for land vehicles, blowing machinery, blowing machines for the compression, exhaustion and transport of gases, filters (machine or engine parts), cartridges for filtering machines, moulds for machines, regulators (machine parts), speed governors for machines, engines and motors, engines, other than for land vehicles, electric motors other than for land vehicles, compressors, fans for motors and engines, plastic injection machines, heat exchangers (parts of machines).

ხოლო რაც შეეხება განცხადებული ნიშნის 37-ე კლასის მომსახურების ჩამონათვალს, იგი დაკავშირებულია მე-7 კლასის საქონლის მონტაჟთან და შეკეთებასთან.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „აერზენერ მაშინენფაბრიკ გმბჰ“ (AERZENER MASCHINENFABRIK GMBH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №136-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 9 ივლისის N2153/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ი. გიქორაშვილი

ს. ებრალიძე